



საჩუქრისაუბრო აუდიტი





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
ხელმძღვანელობას**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2019
წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტი

1 თებერვალი, 2021 წელი

საქართველოს თავდაცვის მინისტრს
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აქვე ყურადღებას ვამახვილებთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინა პერიოდების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა და შესაბამისად, შესაძარისი ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდირებული.

ბოლო 3 წლის განმავლობაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ფინანსური აუდიტები ჩატარებულია მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს აპარატში (სამოქალაქო ოფისი, თავდაცვის ძალები) და გაცემული იყო უარყოფითი მოსაზრება.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების აუდიტით განსაზღვრული პროცედურები, მატერიალური არსებითობის გათვალისწინებით, განხორციელდა სამინისტროს აპარატსა და სსიპ - დელტაში. სსიპ - გ. აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის ანგარიშგება და მასთან დაკავშირებული პროცესები შესწავლილ იქნა ანალიტიკური პროცედურებით.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

გენერალური აუდიტორი
ერეკლე მექვაბიშვილი

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	3
2. შიდა კონტროლის სისტემა.....	18
3. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები (შეუსწორებელი უზუსტობები)	22
საკონტაქტო ინფორმაცია	24

ტერმინები და შემოკლებები

ანგარიშგება – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;

სამინისტრო – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

დელტა - სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი დელტა;

სააღრიცხვო ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

სამხედრო ქვედანაყოფი - ფინანსური აუდიტის მიზნებისთვის თავდაცვის ძალებში შემავალი ის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსების მართვის დეპარტამენტთან;

წვრთნების სარდლობა - სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა;

ავიაციის სარდლობა - სამინისტროს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა;

ჯალუსი - ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა;

სპეციფიკური დანიშნულების აქტივები - ანგარიშის მიზნებისთვის სპეციფიკური დანიშნულების აქტივები განხილულია, როგორც საბრძოლო მასალა, იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა მსგავსი ტიპის აქტივები;

ჰოსპიტალი - სსიპ-გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი.

1. რეკომენდაციები

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით¹

ფინანსური აღრიცხვა- ანგარიშგების სისტემის ნაკლოვანებები

ფაქტობრივი გარემოება N1

სამინისტროს აპარატში ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებობს კონტროლის გარემოს ნაკლოვანებები. აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას და გამოიხატება ანგარიშგების მომზადების პროცესში სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის არასათანადო ინფორმაციის გაცვლაში, დროში შეუსაბამოდ გახანგრძლივებულ კომუნიკაციაში და ფინანსების მართვის დეპარტამენტის, როგორც მაკონტროლებელი რგოლის სისუსტეში.

მიზეზი

- 1) თავდაცვის ძალებში აღრიცხვის პრაქტიკა არ შეესაბამება აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს. კერძოდ, ჯლუსი ახორციელებს სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის მოძრავ-უძრავი ქონებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების აღრიცხვასა და კონტროლს. აღნიშნული ხორციელდება მხოლოდ მონაცემთა რაოდენობრივი შედარების გზით.
- 2) ფინანსების მართვის დეპარტამენტში სამხედრო ქვედანაყოფებიდან მიღებული ფინანსური ინფორმაცია აღირიცხება მხოლოდ ყოველთვიური ჯამური თანხებით და არ ხდება ქვედანაყოფების ფინანსური აღრიცხვის კონტროლი ყოველდღიური ტრანზაქციის დონეზე. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სამხედრო ძალებისთვის დამახასიათებელი და ხშირია აქტივების მოძრაობა.
- 3) ნაშთებს შორის სხვაობების მიზეზები დაკავშირებულია სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობასთან და რიგ შემთხვევებში ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების კომპეტენციასთან.²

გავლენა

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, სამხედრო ქვედანაყოფების სააღრიცხვო ინფორმაციაში მოცემული საბალანსო ანგარიშების ნაშთები არსებითად განსხვავდება მათ შესახებ ფინანსების მართვის დეპარტამენტში არსებული ნაშთებისაგან. მონაცემთა სხვაობამ შეადგინა 697,409,534 ლარი.

სარდლობებისა და მათი ქვედანაყოფების მიერ სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში და ჯლუსში დამოუკიდებლად (ინდივიდუალურ დონეზე) წარმოდგენილი აქტივების რაოდენობრივი მონაცემები და

¹ წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში (<https://aris.sao.ge/>).

² აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ ქვედანაყოფების დონეზე აღმრიცხვეთა ნაწილს ფინანსური მიმართულებით საკვალიფიკაციო მონაცემები (შესაბამისი განათლება) არ აქვთ; ასევე გავლილი არ აქვთ შესაბამისი ტრენინგები.

აქტივებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ინფორმაცია, ვერ უზრუნველყოფს ურთიერთშესაძარისობასა და სანდოობას.

სამინისტროს განმარტებით, 2020 წელს განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები მონაცემებს შორის სხვაობების შემცირების მიზნით და აღნიშნული უზუსტობების ჯამური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. აღნიშნული მიმართულებით პრობლემის გამოსწორების მიზნით, ინტენსიურად გრძელდება სამუშაო პროცესი.

ფაქტობრივი გარემოება N2

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების³ 2019 წლის საწყისი ნაშთების შესახებ ინფორმაცია, არ შეესაბამება საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებს. ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა ORIS-ში არსებული 2019 წლის საწყისი ნაშთები, შესაბამისი აღრიცხვის მონაცემების გარეშე არის წარმოდგენილი და მისადაგებულია 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების ბალანსის საბოლოო ნაშთებთან.

2019 წლის ბუღალტრული აღრიცხვა დაუსრულებელია.⁴ ბრუნვითი უწყისის საბოლოო ნაშთები ვალდებულებებისა და კაპიტალის ნაწილში არ ედრება 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების ბალანსს.

მიზეზი

-)/ ბუღალტრული აღრიცხვის არასათანადო წარმოება
-)/ არ არის შემუშავებული ბუღალტრულ ანგარიშთან გეგმის სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად და არ წარმოებს ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრულ პროგრამაში (ORIS-ში).

გავლენა

არ არის უზრუნველყოფილი ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი და უტყუარი წარდგენა. ფინანსური მონაცემები არ არის სანდო.

სამინისტროს განმარტებით, ჰოსპიტალში არსებული ანგარიშთა გეგმის ნაკლოვანებები აღმოფხვრილია 2020 წლის იანვრიდან, ამავე პერიოდიდან წარმოებს ანალიზური აღრიცხვა და ფინანსურ ანგარიშგებაში გასწორებულია თანხების მიკუთვნების ნაკლოვანება.

რეკომენდაცია

სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, სამინისტრომ შეიმუშაოს ერთიანი, სრულყოფილი ორგანიზაციული სისტემა და ინსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას, ნაშთებისა და ოპერაციების ურთიერთშესაძარისობას, აღრიცხვის დროულობას, სისრულეს და სიზუსტეს. კერძოდ:

- ✓ ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობამ, სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულებისთვის შეიმუშავოს და

³ ფორმა N1-ის (ბალანსის) და დანართი N1-ის

⁴ არ არის შესრულებული ანგარიშგების საბოლოო გადახურვები

გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მიიღება აღქმადი, შესაბამისი, საიმედო და შესაძარისი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისათვის;

- ✓ სარდლობების ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურებმა უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება და კონტროლი როგორც სარდლობის, ისე შესაბამის სტრუქტურულ დაქვემდებარებაში არსებულ ქვედანაყოფებში;
- ✓ სამინისტრომ განაახლოს და დაამტკიცოს ქონების აღრიცხვის ორგანიზებისა და წარმოების წესების შესახებ 1994 წელს ბრძანებით დამტკიცებული სახელმძღვანელო, რომელიც შესაბამისობაში იქნება აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამის აღრიცხვას;
- ✓ სამინისტრომ უზრუნველყოს როგორც სარდლობის, ისე შესაბამის სტრუქტურულ დაქვემდებარებაში არსებულ ქვედანაყოფებში საბუღალტრო პროგრამების დანერგვა/გამოყენება.
- ✓ სამინისტრომ უზრუნველყოს აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში ჩართულ თანამშრომელთა შესაბამისი მომზადება/გადამზადება.

რეკომენდაცია

სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, ჰოსპიტალმა ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოოს უწყვეტად, ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით. ამასთან, მოამზადოს ბუღალტრულ ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად და ანალიზური აღრიცხვა აწარმოოს ბუღალტრულ პროგრამაში.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ჰოსპიტალი.

ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

ფაქტობრივი გარემოება N3

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ არ არის სარწმუნო ჩატარებული ინვენტარიზაციები და მათი შედეგები.

-) **სამინისტრო** - სამხედრო ქვედანაყოფების წლიური ნაშთები არსებითად განსხვავდება როგორც ფინანსების დეპარტამენტში არსებული ბრუნვითი უწყისების ნაშთებისგან, ისე ჯალუსის მიერ წარდგენილი ნაშთებისგან. აღნიშნული ტიპის უზუსტობები უნდა ვლინდებოდეს ინვენტარიზაციის შედეგად.
-) **დელტას** მიერ 2019 წლის ინვენტარიზაცია განხორციელებულია არასრულად. არაიდენტიფიცირებული მონაცემების გამო, ვერ ხდება მატერიალური ფასეულობების შედარება საფინანსო დეპარტამენტის ნაშთებთან. ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა ფონიჭალის სადემილიტარიზაციო და კოჯრის ბაზებში.

მიზეზი

ჟ) ჰოსპიტალში 2019 წელს არ ჩატარებულა მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია.

ჟ) არ არის შემუშავებული ინვენტარიზაციის ჩატარების ერთიანი პოლიტიკა და სახელმძღვანელო სამინისტროს ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ჟ) ინვენტარიზაციის პროცესი არ მიმდინარეობს ყველა ქვედანაყოფში ერთიანი პოლიტიკით.

ჟ) დელტას სარგებლობაში არსებულ ფართზე განთავსებულია დელტას დაფუძნებული ან მართვის უფლებით გადაცემული სხვადასხვა კომპანიები, რომელთა აქტივებსაც მინიჭებული აქვს დელტას ინვენტარის საიდენტიფიკაციო ნომრები.

სამინისტროს განმარტებით, ინვენტარიზაციის ჩატარების ნაკლოვანების მნიშვნელოვან ნაწილს, წარმოადგენს აქტივების ღირებულების გარეშე არსებობა. ვინაიდან უცნობია აქტივების ფასი, ინვენტარიზაცია ხშირ შემთხვევებში წარმოებს მხოლოდ რაოდენობრივად.

აქტივების რაოდენობრივი აღრიცხვის პრაქტიკა ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელია. ისტორიული კონტექსტიდან და საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, აღნიშნული ნაკლოვანება გრძელვადიან პროცესს წარმოადგენს და ასევე დაკავშირებულია დანახარჯებთან.

სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს სამუშაო პროცესი აქტივების შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად და ასევე, ინვენტარიზაციის პროცესის სრულყოფის მიზნით.

გარდა აღნიშნულისა, დელტას და ჰოსპიტალის განმარტებით, 2020 წელს განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები ინვენტარიზაციის პროცესის სრულყოფილად ჩასატარებლად და შედეგების ანგარიშგებაში ასახვის მიზნით.

გავლენა

სამინისტრო არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას საკუთრებაში არსებული მარაგების და ძირითადი აქტივების სისრულესა და არსებობაზე. აღნიშნული მიუთითებს აქტივების მართვასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე და წარმოშობს დანაკარგების რისკებს.

რეკომენდაცია

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ შეიმუშავოს ინვენტარიზაციის ჩატარების ერთიანი პოლიტიკა, ასევე სახელმძღვანელო სამინისტროს ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით და უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურების დაცვით ინვენტარიზაციების ჩატარება.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

ფაქტობრივი გარემოება N4

სამინისტროს ბალანსზე აღრიცხული მთლიანი დებიტორული დავალიანების დაახლოებით 55% - თანხით 238,964,804 ლარი, წარმოადგენს ისეთ დავალიანებებს, რომლებზეც მათი წარმოქმნიდან (1996-2010 წელი) არ განხორციელებულა ოპერაციები, შესაბამისად მათი დაფარვის ალბათობა მცირეა. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა აღნიშნული პერიოდის 143,497,000 ლარის დებიტორული დავალიანების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები.⁵ სამინისტროს განმარტებით, დავალიანებების მნიშვნელოვან ნაწილთან დაკავშირებით, სამართლებრივი შესწავლა მიმდინარეობდა ან/და მიმდინარეობს და აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.⁶ მაგალითად, 2007 წელს ერთ-ერთი კომპანიის მიმართ⁷ წარმოქმნილია 8,251,400 ლარის მოთხოვნა. აღნიშნულ საკითხზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ვინაიდან ვერ დგინდება არის თუ არა მოწოდებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

დელტას ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 25,818,546 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება.

2019 წელს წარმოქმნილი 23,344,909 ლარის დებიტორული დავალიანებიდან 16,986,278 ლარი (65%) წარმოადგენს შპს „მშენებელი 2011“-ის მიერ აღებულ ვალდებულებებს,⁸ ხოლო დანარჩენი აქტივების, საქონელისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად წარმოქმნილი დავალიანებებია. დელტას შიდა აუდიტის 2020 წლის დასკვნის მიხედვით, ქვემოთ წარმოდგენილი გარემოებები შემდგომი შესწავლისთვის გადავზავნილია სამართალდამცავ უწყებებში,⁹ კერძოდ:

- სს „თამ/თბილავიამშენისთვის“ წინასწარი ანგარიშსწორებით 2019 წელს გადარიცხულია 2,312,999 ლარი, მათ შორის 1,128,000 ლარი მანქანა-დანადგარის შესაძენად,¹⁰ რომელიც ამ პერიოდამდე არ არის მიღებული.¹¹
- 1,627,970 ლარის დებიტორული დავალიანება წარმოადგენს შპს „თბილავიამშენთან“ 2015 წელს გაფორმებული ხელშეკრულების¹² ფარგლებში გადარიცხულ ავანსს. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული აქტივების ნაწილი აღმოჩნდა უხარისხო და

⁵ აღნიშნული საკითხები ასევე განხილულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში, რაც ისტორიულ პრობლემას წარმოადგენს და აღნიშნულია გასული წლების აუდიტის ანგარიშებშიც.

⁶ სამინისტროს განმარტებით, გენერალური ინსპექციის მიერ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სამინისტროს დებიტორი ორგანიზაციების შესწავლა.

⁷ საიდუმლო ხელშეკრულების ფარგლებში.

⁸ საბიუჯეტო კოდი - 29 05 02

⁹ სამინისტროს განმარტებით, დანადგარების შეძენის მიზნით გადარიცხული თანხა - 1,128,000 ლარი შიდა აუდიტის დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას. ასევე, აქტივების შეძენის მიზნით გადარიცხული თანხიდან - 295,778.43 ლარი, 2020 წლის სამხრეთი მორიგების აქტის (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სსიპ სსსტ „დელტასა“ და შპს „თბილავიამშენს“ შორის) საფუძველზე დაბრუნდება სახელმწიფო ბიუჯეტში.

¹⁰ ხელშეკრულება N19-207 - 15.07.2019

¹¹ შიდა აუდიტის დასკვნა N CON/-2020-07-02-5653

¹² ხელშეკრულება საიდუმლო - 30/03/2015წ;

დაუბრუნდა მიმწოდებელს და დელტას საქონელი ამ დრომდე არ მიუღია.¹³

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კრედიტორული დავალიანების ნაშთი 60,260,432 ლარს შეადგენს.

სამინისტროს 2019 წლის ბოლოს არსებული კრედიტორული დავალიანების ნაშთი შეადგენს 57,897,121 ლარს, საიდანაც დაახლოებით 60%, წარმოადგენს საქონლის განბაჟების შედეგად ბიუჯეტის წინაშე არსებულ დავალიანებას. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსზე რიცხული მთლიანი კრედიტორული დავალიანებიდან, 14,766,968 ლარი წარმოშობილია 1997-2010 წლებში, საიდანაც 11,454,700 ლარის დავალიანება დაკავშირებულია „შრომის ანაზღაურების“ მუხლთან.

მიზეზი

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის შესაბამისი კონტროლის მექანიზმები შემუშავებული არ არის. სამინისტროში არ ტარდება მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობის შესაბამისად. დებიტორ/კრედიტორ ორგანიზაციებთან არ ფორმდება ურთიერთშეძარბის აქტები, ძველი პერიოდის დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი სამართლებრივი შესწავლის საგანს წარმოადგენს, თუმცა სამინისტროსთვის ამ ეტაპზე უცნობია შესწავლის შედეგები.

სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს სამუშაო პროცესი ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

გავლენა

სამინისტროს ბალანსზე ირიცხება ხანდაზული მოთხოვნა-ვალდებულებები, რომელთა საცნობარო მუხლზე გადატანის საკითხი არ არის გადაწყვეტილი. ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ნაშთების რეალურობასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია

დავალიანებების ნაშთების რეალურობის დასადგენად, შეიქმნას მოთხოვნებისა და ვალდებულებების საინვენტარიზაციო კომისია. საინვენტარიზაციო კომისიამ დავალიანებების ჩამოწერის მიზანშეწონილობის თაობაზე დასკვნის მომზადებისას გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები:

- 1) იძებნება თუ არა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ანგარიშზე რიცხული დავალიანების სისწორე და შესაძლებელია თუ არა საადრიცხო რეგისტრებში არსებული ჩანაწერებით ზუსტად და საიმედოდ კონტრაგენტების იდენტიფიცირება და დადგენა;
- 2) ანგარიშზე რიცხული ნაშთის წარმოშობის საფუძველი აკმაყოფილებს თუ არა აქტივის/ ვალდებულების აღიარების კრიტერიუმებს;

¹³ შიდა აუდიტის დასკვნა- N01029;

3) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები და სხვა.

კომპონენტები,
რომლებზეც გაიცა
რეკომენდაცია
შესასრულებლად

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, დელტა;

მატერიალური მარაგები

ფაქტობრივი გარემოება N5

სამინისტროს მატერიალური აქტივების მართვის კუთხით გამოვლინდა სისტემური პრობლემები და უზუსტობები, მაგალითად:

აუდიტორული პროცედურების განხორციელების მიზნით, შერჩეულ იქნა ერთ-ერთი ქვედანაყოფი - სატანკო ქარხნის ჯავშან-ტექნიკის საამქრო. შესწავლის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი შეუსაბამოები ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციასთან და ეკონომიკურ მოვლენებთან დაკავშირებულ პროცესებთან,¹⁴ მაგალითად:

- ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული 8,379,467 ლარის ჯავშან-ტექნიკის სათადარიგო ნაწილები წარმოადგენს მხოლოდ ცენტრალური საწყობის ნაშთს. საწყობში არსებული აქტივების 95% მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული. ქარხნის სხვა საცავებში დღემდე ინახება 2007 წლიდან 2019 წლის ჩათვლით მიღებული მნიშვნელოვანი რაოდენობის ქონება, რომელიც აღრიცხული არ არის. ამასთან, 3,677,733 ლარის ღირებულების მარაგები¹⁵ უკვე გახარჯულია. შესაბამისად, არსებული ნაშთი არ ასახავს მარაგების რეალურ ოდენობას.
- ჯავშან-ტექნიკაზე გაწეული ყველა სახის მომსახურება აისახება მიმდინარე ხარჯებში.

სატანკო ქარხანაში გამოვლენილი ნაკლოვანებები წარმოადგენს საილუსტრაციო მაგალითს, თუმცა აუდიტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა პროცედურების შედეგად, გამოვლინდა ანალოგიური ტიპის ნაკლოვანებები სხვა ქვედანაყოფებშიც. შესაბამისად, წარმოდგენილი პრობლემა სისტემურ ხასიათს ატარებს.

დელტას „მატერიალური მარაგების“ ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 15,128,707 ლარს შეადგენს, რაც არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას, ვინაიდან საწარმოო პროცესების აღრიცხვა არ ხდება წარმოების პროცესის თანმიმდევრულად.¹⁶

¹⁴ აღნიშნული ნაკლოვანებები დეტალურად არის განხილული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშში,

¹⁵ კერძოდ, 2007 და 2010 წელს მიღებულია ტექნიკის სათადარიგო ნაწილები კომპლექტებად, რომელიც ამ დრომდე აღრიცხულია კომპლექტის პირველადი ღირებულებით 4,903,644 ლარი, მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებულია მათი განკომპლექტება და კომპლექტში არსებული სათადარიგო ნაწილების 75% გახარჯულია.

¹⁶ ნედლეულის მუხლის (1621) კლასიფიკაცია იცვლება დაუმთავრებელი წარმოების (1622) მუხლით, მას შემდეგ რაც დასრულდება მთლიანი საწარმოო პროცესი და შეიქმნება მზა პროდუქტი;

- 4,165,312 ლარის ნედლეულიდან, მზა პროდუქციის ნაწილი, კერძოდ 60%, 2019 წელს გადაეცა სამინისტროს. აღნიშნული ნედლეულის ჩამოწერა განხორციელდა 2020 წლის მარტში;
- 3,137,445 ლარის ღირებულების მასალა ორგანიზაციის განმარტებით გახარჯულია, თუმცა ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არქონის გამო, ამ დრომდე აღრიცხულია მარაგებში.

ფაქტობრივი გარემოება N6

თავდაცვის სამინისტროსთვის, ისევე როგორც სხვა ძალოვანი უწყებებისთვის, დამახასიათებელ ნაკლოვანებას წარმოადგენს სპეციფიკური დანიშნულების აქტივების რაოდენობრივი აღრიცხვა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების რეალურ ღირებულებაზე, შესაბამისად შეუძლებელია განისაზღვროს უზუსტობის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მიზეზი

თავდაცვის სამინისტრო ფლობს სპეციფიკურ აქტივებს, (ნაწილი გადმოცემულია საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, ნაწილი შეძენილია 1990-იან წლებში, მიღებულია სხვადასხვა სახელმწიფოსგან) რომელთა ფასები გარკვეულ შემთხვევებში ობიექტური მიზეზების გამო უცნობია. აღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორება კომპლექსურ მიდგომას და შეფასების პოლიტიკის შემუშავებას საჭიროებს. *სამინისტროს განმარტებით, დაწყებულია ღონისძიებების განხორციელება აღნიშნული მიმართულებით შესაფერისი მიდგომებისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის.*

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული „მატერიალური მარაგების“ ნაშთი არ ასახავს რეალურ ოდენობას. თავის მხრივ აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სწორად მომზადებას და წარდგენას. ამასთან, კონტროლის გარემოს ნაკლოვანებების გამო, არსებობს დანაკარგების წარმოშობის რისკები.

რეკომენდაცია

აქტივების მართვასა და აღრიცხვაში არსებული სისტემური პრობლემებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შემუშავდეს ისეთი პროცედურები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და საქონლის მიღება/შენახვა/აღრიცხვაზე პასუხისმგებელ ერთეულებს შორის მოქნილ და დროულ კომუნიკაციას, აქტივების სათანადო შეფასებას, აღრიცხვასა და კონტროლს.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, დელტა.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

ფაქტობრივი გარემოება N7

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს „შენობა-ნაგებობების“ ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 485,991,795 ლარს.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი უზუსტობები:

- ჯალუსის წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილი არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს¹⁷;
- არაფინანსური აქტივების დიდი ნაწილი აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად და ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული. შესაბამისად, სამინისტრო ფლობს გაცილებით მეტი ღირებულების სახელმწიფო ქონებას.
- ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის რეგისტრირებული როგორც სახელმწიფო ქონება;

დელტას „საცხოვრებელი შენობების“ მუხლში, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთად ირიცხება 14,857,471 ლარის ღირებულების ქონება, საიდანაც 2,755,290 ლარის ღირებულების საცხოვრებელი შენობები არ წარმოადგენს დელტას საკუთრებას. კერძოდ, მშენებლობა 2019 წელს სამინისტროს შეკვეთით განახორციელა დელტას შვილობილმა კომპანია „მშენებელი 2011“-მა,¹⁸ აქტივების სამინისტროსთვის გადაცემა ამ დრომდე არ განხორციელებულა.¹⁹ ამასთან, შვიდი შენობა-ნაგებობა აღრიცხულია ღირებულების გარეშე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების „არაწარმოებული აქტივების“²⁰ მუხლი წარდგენილია 843,294,655 ლარით, რაც არ შეესაბამება ფაქტიურ მდგომარეობას. კერძოდ, 206,984,527მ² მიწის ფართობიდან,:

- 38,487,225მ² მიწა ღირებულების გარეშე წარმოდგენილი;
- 9,505,950 მ² მიწა დაურეგისტრირებელია;
- 4,161,700მ² გასხვისებულია;
- 4,700მ² მიწის ფართობიდან შეუძლებელია გაიმიჯნოს სამინისტროს საკუთრებაში არსებული და გასხვისებული მიწის ფართობები.

მიზეზი

- სამინისტროს აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის ღირებულება არ არის დადგენილი, ვინაიდან, ამიერკავკასიაში რუსეთის ფედერაციის ჯარებსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, ბალანსზე

¹⁷ინვენტარიზაციის შედეგად საბინაო ფონდის დაახლოებით 95% პრივატიზებულია (საცხოვრებელი ბინები, რომლებიც წლების მანძილზე საკუთრებაშია გადაცემული სამხედრო მოსამსახურეებისთვის), თუმცა დღემდე ირიცხება ბალანსზე.

¹⁸ მ.წ აქტი N4046 – 4/11/2019 წ.

¹⁹ დასრულებული მშენებლობის შესახებ სამინისტრო ინფორმირებულია - წერილი N2150 – 6/11/2019 წ. საცხოვრებელი ფართის დიდი ნაწილი სამინისტროს მიერ უკვე გადაცემულია სამხედრო მოსამსახურეებისთვის, თუმცა დელტას ბალანსზე ირიცხება აქტივების სახით.

²⁰ ინფორმაცია ასახავს მხოლოდ ჯალუსის აღმოსავლეთ ცენტრის მონაცემებს, შესაბამისად უზუსტობა სავარაუდოდ გაცილებით დიდია.

აღრიცხულია მთლიან სამხედრო ქალაქებში არსებული შენობები, ცალკეული შეფასების გარეშე;

- სამინისტროს განმარტებით, ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს;
- მიმდინარეობს სადავო საკითხების შესწავლა, აზომვითი სამუშაოები და სხვა ღონისძიებები;
- განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით სამინისტროსა და დელტას შორის კომუნიკაციის ნაკლოვანებებია;
- არ არსებობს ზოგიერთი აქტივის შეძენა/გადმოცემის დამადასტურებელი დოკუმენტები.

გავლენა

ვერ მოვიპოვეთ რწმუნება არაფინანსური აქტივების არსებობაზე, სისრულესა და სისწორეზე, რასაც არსებითი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე და ვერ უზრუნველყოფს მის სამართლიან წარდგენას.

რეკომენდაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების სისრულის და სიზუსტის, ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ და დელტამ:

- უზრუნველყოს ბალანსზე რიცხული იმ შენობა-ნაგებობების ბალანსიდან ამოღება, რომლებიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს;
- ხარჯეფექტური მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოს ღირებულების გარეშე არსებული ქონების შეფასება და ბალანსზე ასახვა;
- რესურსების დაზოგვის მიზნით, მიზანშეწონილია მიწების შეფასებისას მოხდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტების დადგენილებებით განსაზღვრული ნორმატიული ფასების გათვალისწინება.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სამინისტრო, დელტა.

ფაქტობრივი გარემოება N8

სამინისტროს არაფინანსური აქტივების მართვის კუთხით გამოვლინდა სისტემური პრობლემები, მაგალითად:

- გრანტის სახით 2017-2019 წლებში გადმოცემული 37,864,000 ამერიკული დოლარის აქტივები ბუღალტრულად არ არის აღრიცხული. აღნიშნული საქონელი მიღებულია, ჯალუსის მიერ ხორციელდება მიღება-გაცემის რაოდენობრივი კონტროლი, თუმცა აქტივების შესახებ ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის.
- ჯავშან-ტექნიკა ჯალუსში აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად. აუდიტის მიერ იდენტიფიცირდა 37,823,759 ლარის ღირებულების კონკრეტული ჯავშანტექნიკა, რომელიც სამინისტროს მიერ არ არის თანხობრივად აღრიცხული, მიუხედავად იმისა რომ გადმოცემის დოკუმენტაციაში ფასი მითითებულია.

„სამხედრო იარაღის სისტემების“ მუხლში, 2019 წელს აღირიცხა 843,831,832 ლარის მსხვილი სამხედრო დანიშნულების აქტივები. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი უზუსტობები:

-)/ აღნიშნულ მუხლში აღრიცხულ ქონებას ცვეთა არ ერიცხება, შესაბამისად ანგარიშგებაში გაზრდილი ღირებულებით არის წარმოდგენილი.
-)/ მუხლში აღრიცხულია 5,123,422 ლარის ღირებულების ისეთი ოპერაციები, რაც არ აკმაყოფილებს არაფინანსურ აქტივად აღიარების კრიტერიუმს.
-)/ 28,587,026 ლარის საბალანსო ღირებულების საფრენი აპარატები მოძველებულია და შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს; აღნიშნული შემდგომ შესწავლას და გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებს.
-)/ 60,215,379 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივები წარმოადგენს 2007 წელს კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ სხვადასხვა დასახელების, კლასიფიკაციის ქონებას, აღნიშნული აქტივების ნაწილი, კერძოდ 2 ერთეული აქტივი დუბლირებულად აღრიცხული იყო „სატრანსპორტო საშუალებების“ მუხლშიც. არომლის საწყისი ღირებულება შედგენდა 332,982 ლარს ხოლო საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განულებულია.
-)/ 261,765 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საინჟინრო ქონება 2019 წელს აღრიცხულია დუბლირებულად, კერძოდ 2 განსხვავებულ მუხლში²¹. ამასთან, აღნიშნულ ქონებაზე არ არის დარიცხული ცვეთა.
-)/ ჯალუსის მონაცემების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სხვადასხვა ქვედანაყოფში ირიცხება 1,433,485 ლარის ღირებულების კვადროციკლები, რომელიც არ არის აღრიცხული;
-)/ საჰაერო სარდლობის მიერ აღრიცხულია ჯამში 43,117,869,24 ლარის საფრენი აპარატები²², თუმცა ვერ დგინდება მათი შემენის წლები, სავარაუდოდ აღრიცხულია შესყიდვის ღირებულებით და არ ერიცხება ცვეთა.
-)/ სამინისტროს მიერ, 2019 წლის აპრილში აღირიცხა 2,791,772 ლარის ღირებულების საველე აღჭურვილობა, რომელიც დელტამ სამინისტროს გადასცა 2018 წელს, თუმცა მისი აღრიცხვა განხორციელდა დაგვიანებით და დაერიცხა მხოლოდ 1 წლის ცვეთა.
-)/ დელტას ბალანსზე ირიცხება 21,375,056 ლარის საბალანსო ღირებულების შვეულმფრენი, რომლის საკუთრების უფლება 2012 წელს გადაეცა სამინისტროს. მიუხედავად ამისა, სამინისტროს მიერ აქტივი აღრიცხული არ არის.

²¹ სამხედრო იარაღის სისტემები და სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი სატრანსპორტო საშუალებების გარდა

²² მუხლი 2122 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი სატრანსპორტო საშუალებების გარდა

-)/ დელტას მიერ არ არის აღრიცხული ორი ერთეული მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალება²³.
-)/ დელტას ბალანსზე, „სხვა მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლში ნაშთად ირიცხება 13,258,989 ლარი. ამასთან, ინვენტარის საერთო რაოდენობის 40%, აღრიცხულია ღირებულების გარეშე.
-)/ დელტას განმარტებით, მათ ბალანსზე ირიცხება დაზიანებული, მორალურად მოძველებული და ფიზიკურად ამორტიზებული სხვადასხვა მატერიალური ქონება, რომელიც საჭიროებს შეფასებას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეაგირებას. აუდიტის მიმდინარეობისას საკითხის შესწავლისა და რეაგირების მიზნით შეიქმნა კომისია.
-)/ დელტას მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ 2019 წელს მიღებულია ქარის გენერატორის კომპლექტი. აღნიშნულ ქონება ბალანსზე არ არის აღრიცხული.

მიზეზი

-)/ სამინისტროს არ აქვს შემუშავებული ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა აღრიცხვის მეთოდებთან დაკავშირებით. ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ ქვედანაყოფებისთვის განმარტებები ხორციელდება ზეპირი კომუნიკაციით;
-)/ არ არის შემუშავებული კრიტერიუმები და კონკრეტული პოლიტიკა, რომლის გამოყენებითაც უნდა მოხდეს სამხედრო და არასამხედრო სისტემების იდენტიფიცირება შემდგომში სწორი კლასიფიკაციით აღრიცხვის მიზნით;
-)/ თავდაცვის ძალებში აღრიცხვის პრაქტიკა არ შეესაბამება აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს;
-)/ ჯალუსი მოძრავ-უძრავი ქონებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების კონტროლს ახორციელებს მხოლოდ მონაცემთა რაოდენობრივი შედარების გზით;
-)/ ფინანსების მართვის დეპარტამენტში სამხედრო ქვედანაყოფებიდან მიღებული ფინანსური ინფორმაცია აღირიცხება მხოლოდ ყოველთვიური ჯამური თანხებით, რაც კონტროლის ნაკლოვანებას უკავშირდება;
-)/ დელტას მიერ არ არის განსაზღვრული შეკვეთების/პროექტების ვადები, რაც კონტროლის ნაკლოვანებას წარმოადგენს და აისახება სააღრიცხვო პროცესებზე;
-)/ დელტას მიერ არ ხორციელდება საწარმოო პროცესების თანმიმდევრული ბუღალტრული აღრიცხვა, მოდიფიცირებული აქტივების ღირებულების განსაზღვრა და შესაბამისი კლასიფიკაცია.
-)/ არ არის წინასწარ განსაზღვრული უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები იმ მხარეების მიმართ, ვინც ჩართულია შეკვეთის შესრულების პროცესში.

²³ Hummer

გავლენა

ვერ მოვიპოვეთ რწმუნება არაფინანსური აქტივების არსებობაზე, სისრულესა და სისწორეზე, რასაც არსებითი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე და ვერ უზრუნველყოფს მის სამართლიან წარდგენას. ამასთან კონტროლის ნაკლოვანებების გამო, წარმოიშობა დანაკარგების რისკები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია სამინისტროს მიერ განისაზღვროს და დამტკიცდეს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს აღრიცხვა/ანგარიშგების მეთოდურ მითითებებსა და აღრიცხვის ერთიანი წესების დანერგვას სამინისტროს ყველა სტრუქტურულ ერთეულში.

რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია დელტას მიერ წინასწარ დაიგეგმოს შეკვეთის სამუშაო მოცულობა და დასრულების ვადები, მკაფიოდ განისაზღვროს საწარმოო პროცესებში ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობები და შემუშავდეს საწარმოო პროცესებისთვის ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც ხელს შეუწყობს მზა პროდუქციის მიღებამდე აქტივებისა და ხარჯების თანმიმდევრულ აღრიცხვა/კონტროლს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, დელტა

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც**გაიცა რეკომენდაცია****შესასრულებლად****ფაქტობრივი გარემოება N9**

აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად.

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში მატერიალური მარაგების, ძირითადი აქტივების მუხლები შეიცავს 2008 წლის ომის შედეგად განადგურებულ/დაკარგულ აქტივებს. სამინისტროს 2018 წლის აუდიტის შედეგად²⁴ შესაძლებლობის ფარგლებში მოხდა დანაკლისად აღიარებული მატერიალური ფასეულობებისა და ძირითადი აქტივების თანხობრივი იდენტიფიცირება, რამაც 60,904,800 ლარი შეადგინა.

მიზეზი

ძალოვანი უწყებისთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებას წარმოადგენს სპეციფიკური დანიშნულების აქტივების რაოდენობრივი აღრიცხვა. ქვედანაყოფებისგან წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაკარგული აქტივების უმეტესი ნაწილის ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან აღრიცხულია რაოდენობრივად. სამინისტროს განმარტებით, დანაკლისების შესახებ ინფორმაცია გადაგზავნილია სამხედრო პოლიციაში, თუმცა გამოძიების შედეგები ცნობილი არ არის და შესაბამისად არ განხორციელებულა აღნიშნული აქტივების ჩამოწერა.

²⁴ 2018 წლის ფინანსური აუდიტის შედეგები - <https://sao.ge/Uploads/2019/11/tavdacva-finansuri.pdf>

გავლენა

აქტივების რაოდენობრივი აღრიცხვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების რეალურ ღირებულებაზე, შესაბამისად შეუძლებელია განისაზღვროს უზუსტობის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

რეკომენდაცია

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, დანაკლისებთან დაკავშირებით სამინისტრომ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. კერძოდ, დაადგინოს სამართალდამცავი უწყებებისთვის გადაცემული საკითხების სტატუსი და გამოძიების შედეგები, ხოლო ისეთი დანაკლისები, რომელთა მიმართაც დაწყებული არ არის წარმოება, შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეს შესაბამის უწყებებს;

რეკომენდაცია

აქტივების მართვასა და აღრიცხვაში არსებული სისტემური პრობლემებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შემუშავდეს ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს რაოდენობრივად წარმოდგენილი აქტივების სათანადო შეფასებას, აღრიცხვასა და კონტროლს.

**კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

შემოსავლები**ფაქტობრივი გარემოება N10**

სამინისტროს მიერ არ ხდება შემოსავლების მიღება მის ტერიტორიაზე განთავსებული სავაჭრო აპარატების იჯარიდან.

მიზეზი

იჯარის ხელშეკრულებები გაფორმებული არ არის; *სამინისტროს განმარტებით, აპარატები მუშაობდა სატესტო რეჟიმში.*

გავლენა

სამინისტრო აღნიშნული წყაროდან შემოსავლებს ვერ იღებს.

ფაქტობრივი გარემოება N11

დელტა ფულად შემოსავლებს იღებს ჯართის რეალიზაციიდან, რომელიც მიიღება ვადაგასული (საუტილიზაციო) სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების შედეგად. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემოსავლების კონტროლისა და აღრიცხვის ნაკლოვანებები.

მიზეზი

-) გადმოცემული მატერიალური ფასეულობები მიიღება რაოდენობრივად, ან წონით და არ ხდება მათი აღრიცხვა შემდგომი რეალიზაციის მიზნით მიღებულ საქონლად.
-) ჯართის მიღების დროს გარკვეულ შემთხვევებში არ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები.
-) უტილიზებული ჯართი არ აღირიცხება.

-) არ არის ჩამოყალიბებული ჯართის მიღებისა და შემდგომი რეალიზაციის სპეციფიკური პროცედურები.

გავლენა

ვერ დავრწმუნდით დელტას მიერ ჯართის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების სისრულესა და სიზუსტეში. აღნიშნული თავის მხრივ წარმოშობს დანაკარგების რისკებს.

რეკომენდაცია

შემოსავლების მიღებისა და აღრიცხვის სრულყოფის მიზნით:

-) სამინისტრომ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების გაფორმება მის ტერიტორიაზე განთავსებული სავაჭრო აპარატების წარმომადგენლობებთან;
-) დელტას მიერ შეიქმნას ჯართის მიღებისა და მისი შემდგომი რეალიზაციის ისეთი პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ეტაპის შესაბამის აღრიცხვასა და კონტროლს.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, დელტა.

2. შიდა კონტროლის სისტემა

დელტას საწარმოო

საქმიანობისა და კონტროლის ნაკლოვანებები

დელტას 2019 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, წარმოებიდან მიღებული შემოსავლები მცირეა და შეადგენს სულ 944,515 ლარს, რაც მთლიანი ხარჯის მხოლოდ 2%-ს შეადგენს.

2019 წლის მდგომარეობით, დელტას მიერ მიღებული პროექტების 70% დაუსრულებელია.²⁵ პროექტების ნაწილი დელტას შესაძლებლობების ზრდას, ხოლო ნაწილი სხვადასხვა დამკვეთის მოთხოვნას უკავშირდება.

2017-2019 წლების განმავლობაში, დელტა სამინისტროსთვის უზრუნველყოფს მხოლოდ ჯავშან-ჭილეების, ჩაფხუტების, მედლების დამზადებას, რომლისთვისაც ნედლეულის შეძენის მიზნით გამოყოფილი ბიუჯეტი, დაახლოებით 3 მლნ ლარია.²⁶ ამ შემთხვევაშიც, ვერ მოხერხდა შეკვეთების დროული დასრულება და სამინისტროს საქონელი დაგვიანებით მიეწოდა. მაგალითად, 2017 წლის შეკვეთა მიწოდებულია 2018-2019 წლებში, ხოლო 2018 წლის - 2019-2020 წლებში.

მიზეზი

-) ორგანიზაციაში არ არის შემუშავებული წარმოების პროცესების სტრატეგია, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს შეკვეთების პრიორიტეტულობა და განისაზღვროს შესრულების ვადები.
-) არ ხორციელდება დანახარჯების შესაბამისი აღრიცხვა.²⁷ განხორციელებულ პროექტებში არ ხდება შექმნილი პროდუქციის თვითღირებულების სწორი კალკულაცია, ვინაიდან არ არის ჩამოყალიბებული თვითღირებულების კალკულაციის პრინციპები.
-) შეკვეთების დასრულება ვერ განხორციელდა სხვადასხვა საწარმოო ხარვეზის, ნედლეულთან დაკავშირებული პრობლემებისა და საჭიროებების ცვლილებიდან გამომდინარე.

დელტას როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან ორგანიზაციას არ აქვს შემუშავებული განვითარების პოლიტიკა, რომლითაც დეტალურად უნდა

²⁵ 2013-2018 წლებში სულ მიღებულია 795 შეკვეთა საიდანაც 534 დაუსრულებელი შეკვეთაა.

²⁶ აღნიშნული თანხა გამოყოფილია სამინისტროს ბიუჯეტის ფარგლებში

²⁷ არ ხორციელდება ფაქტობრივი ხარჯებისა და დაგეგმილი ხარჯების აღრიცხვა, ანალიზი, რათა მოხდეს გადახარჯვის შესწავლა. ფაქტობრივი თვითღირებულების დათვლა ხორციელდება ფინანსებისა და დაგეგმარების დეპარტამენტის მიერ, რომელსაც მთლიანი შეკვეთის დასრულებისას საწარმოები უგზავნიან გამოყენებული მასალების ჩამოწერის აქტებს და მათი ღირებულების მიხედვით დგება საბოლოო კალკულაცია. რაც შეეხება თვითღირებულების სხვა ელემენტებს: შრომის ანაზღაურება, საწარმოო ზედნადები ხარჯები, ენერგო-დანახარჯები, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი - აღნიშნული ხარჯების თვითღირებულებაში გათვალისწინება არ ხორციელდება.

განსაზღვროს ორგანიზაციის საქმიანობა და საწარმოო მიმართულებები, სიმძლავრეები და წარმადობა, რაც აფერხებს პროცესების ეფექტიანობას.²⁸

რეკომენდაცია

მიუხედავად არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსებისა, ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, დელტა ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს საოპერაციო ხარჯების დამოუკიდებლად დაფარვას.

ორგანიზაციის საწარმოო პროცესებისა და ორგანიზაციის სარგებლიანობის, ასევე შემოსავლების გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია დელტამ განსაზღვროს საწარმოო შესაძლებლობები და მის საფუძველზე შეიმუშავოს შესაბამისი სტრატეგია, სამოქმედო გეგმა. ამასთან უზრუნველყოს პროექტების განხორციელებისა და დროული დასრულებისთვის შესაბამისი მექანიზმების დანერგვა.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, დელტა

შიდა კონტროლის

ნაკლოვანებები

შრომის ანაზღაურების პროცესში გამოვლინდა კონტროლის გარემოს ნაკლოვანებები:

- 1) დელტას მიერ ნორმირებულ²⁹ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების დასწრება/გამოცხადების გათვალისწინება ხელფასების დაანგარიშების დროს არ ხდება.
- 2) ხელფასების გამოთვლისას საანგარიშო პერიოდში არ ხდება გაცდენილი საათების (საპატიო, არასაპატიო) და საავადმყოფო ფურცლის გათვალისწინება.
- 3) 2019 წელს ნორმირებული განაკვეთზე მყოფი თანამშრომლების სამსახურში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის მიუხედავად ხელფასი უწყვეტ რეჟიმში სრულად არის გაცემული.³⁰
- 4) დელტაში დამკვიდრებულია ნორმირებულ განაკვეთზე მყოფი თანამშრომლების დაწინაურების არასწორი პრაქტიკა.
- 5) ცალკეული პირები ანაზღაურებას იღებენ როგორც დელტაში, ასევე მის მიერ დაფუძნებულ ან მართვის უფლებით გადმოცემულ ორგანიზაციებში. გამომდინარე აქედან, შესაძლებელია სამუშაო საათების განმავლობაში, დელტას თანამშრომელმა ერთდროულად იმუშაოს რამდენიმე სრულ განაკვეთზე ისე, რომ ვერ მოხდეს სამუშაო საათების და შესრულებული სამუშაოების გამიჯვნა.

²⁸ აღსანიშნავია რომ ორგანიზაცია 2005 წლიდან საქმიანობს.

²⁹ 2019 წელს დელტას მიერ ხდება 2 ფაქტორის გათვალისწინებით, ნორმირებული ანუ ფიქსირებული განაკვეთის მიხედვით და საათობრივი ანაზღაურებით (პროექტების მიხედვით).

³⁰ მათ შორის 8 მრჩეველი არასაპატიო მიზეზით ხშირი გაცდენების სიაშია. 2020 წელს მენეჯმენტის ცვლილების შედეგად, 2020 წლის 23 მარტის N1366 და 24 მარტის N1393 ბრძანებებით 2 მათგანს ხელშეკრულება შეუწყდა, ხოლო დანარჩენი პირები გადაყვანილ იქნენ კონსულტანტის პოზიციებზე კონკრეტული მიმართულებებით.

ქ) 2020 წელს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მოკვლეულ იქნა არასაპატიო მიზეზით ხშირი გაცდენის ფაქტები, შედეგად სამსახურიდან გათავისუფლდა 42 თანამშრომელი, ასევე დელტას განმარტებით, 58 თანამშრომელს დაეკისრა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა, საკუთარი ვალდებულებების არაჯეროდ შესრულებისთვის.

რეკომენდაცია

დელტას მიერ შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ანაზღაურების დაანგარიშებისა და თანამშრომელთა დაწინაურების გამჭვირვალე და სამართლიანი პროცესის წარმართვას.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

დელტა

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დელტას ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის გამჟღავნებული ინფორმაცია დელტას შვილობილი კომპანიებისა და მასთან დაკავშირებულ მხარეებთან³¹ არსებულ ოპერაციებზე, რაც მნიშვნელოვანი საკითხია ორგანიზაციის საქმიანობისა და საანგარიშგებო მიზნებისთვის.

დელტასა და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს შორის, ადგილი აქვს მნიშვნელოვან ოპერაციებს (მომსახურების მიღება, ნედლეულის/საქონლის ყიდვა/გაყიდვა, გადაცემა და სხვა). მიუხედავად აღნიშნულისა, ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები და მათი სამართლებრივი შედეგები, განსხვავდება დელტას მიერ სხვა არადაკავშირებულ ორგანიზაციებთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობისგან. არსებული ხელშეკრულებები ხშირად არ შეესაბამება დაკავშირებული კომპანიების ეკონომიკური საქმიანობის მიზნებს, რაც ხელს უშლის საწარმოო პროცესებს, ვინაიდან გარკვეულ შემთხვევებში, დაკავშირებული კომპანიების მიერ დაგვიანებით, ან უხარისხოდ ხდება ვალდებულების შესრულება, შესაბამისად სამინისტროს შეკვეთები მნიშვნელოვანი დაგვიანებით მიეწოდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აუდიტის შედეგად გამოვლინდა ისეთი გარემოებები, რომლებიც უკავშირდება დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ძველი პერიოდის ოპერაციებს და შეიცავს არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს. (შესაბამისი მაგალითები წარმოდგენილია აუდიტის ანგარიშში).

³¹ დელტას მიერ დაფუნდებული ან მართვის უფლებით გადმოცემული კომპანიების: სს „თამ/თბილავიამშენი“, შპს „თბილავიამშენი“, შპს „დელტა ინტერნეიშნალი“, შპს „სამშენებლო კომპანია - მშენებელი 2011“.

რეკომენდაცია	დელტამ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში უზრუნველყოს შვილობილ კომპანიებსა და მასთან დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება;
რეკომენდაცია	დელტამ უზრუნველყოს დაკავშირებულ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების და მათი აღსრულების მექანიზმების იმგვარად ჩამოყალიბება, რომ ხელშეკრულების დარღვევისას არ მოხდეს ორგანიზაციისა და სამინისტროს ინტერესების დაზიანება.
კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	დელტა
შიდა კონტროლის სხვა ნაკლოვანებები	დელტაში არსებობს მარაგების მითვისების რისკი, რაც რამდენჯერმე დაფიქსირდა აუდიტის მიმდინარეობისას და თავად გამოავლინა ორგანიზაციამ.³² დელტას არ აქვს ლოჯისტიკური აღრიცხვის შესაბამისი პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სრულყოფილ აღრიცხვას, მოძრაობასა და კონტროლს. ცენტრალურ საწყობში მიღებული მასალები აღირიცხება EXCEL-ის ფაილებში. აღრიცხვის პროცესი სრულად მანუალურია, როგორც ცენტრალურ საწყობში, ასევე საწარმოს სხვა საწყობებში. მასალები, საწარმოებს გადაეცემა შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე და ფორმდება მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია. წარმოებიდან დარჩენილი ნედლეული ბრუნდება ცენტრალურ საწყობში, თუმცა არ ხდება წარმოების შემდგომ დარჩენილი მასალების რაოდენობის კონტროლი.
რეკომენდაცია	მარაგების მართვაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია დელტამ დანერგოს შესაბამისი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მარაგების სათანადოდ აღრიცხვასა და კონტროლს. ამასთან, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აქტივების მართვისა და კონტროლის სისტემის გამართული ფუნქციონირებას.
კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	დელტა

³² შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი № MEM/-2020-06-19-4782. 19.06.2020

3. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები (შეუსწორებელი უზუსტობები)

მატერიალური აქტივები

- 2019 წლის აპრილის თვეში სამინისტროს მიერ სამხედრო მარაგების მუხლში არასწორად არის აღრიცხული 1,151,729 ლარის ღირებულების სავალდებულო აქტივები. დელტამ აღნიშნული ქონება 2018 წელს დროებითი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე გადასცა ქვედანაყოფებს, სადაც აღირიცხა მხოლოდ რაოდენობრივად და მიმდინარე მდგომარეობით ექსპლუატაციაშია, შესაბამისად არ უნდა იყოს მარაგებად აღრიცხული.
- სხვადასხვა ქვედანაყოფებში არსებული 3,218,238 ლარის სპეციფიკური დანიშნულების ქონება, აღრიცხული უნდა იყოს „ძირითად აქტივებად“ ნაცვლად მატერიალური მარაგებისა.
- 4,568,178 ლარის ღირებულების მარაგები წარმოადგენს დელტას წარმოების შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით შესყიდულ მომსახურებას, რაც ნაცვლად „მარაგებისა“, აღრიცხული უნდა იყოს „არამატერიალურ აქტივებში“.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მატერიალური მარაგების ჯამური ღირებულება გაზრდილია 8,938,145 ლარით.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სამინისტრო, დელტა

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

სამინისტროს „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლიდან არ არის განხორციელებული 3,557,898 ლარის დასრულებული აქტივების რეკლასიფიკაცია შესაბამის მუხლებზე.

დელტას ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „დაუმთავრებელ ძირითად აქტივებში“ ასახულია სხვადასხვა პერიოდში წარმოქმნილი ნაშთი, 13,349,796 ლარის ოდენობით, რაც ექვემდებარება მუხლის კლასიფიკაციის ცვლილებას.

აქტივები კლასიფიცირებულია არასწორად, არ ერიცხება ცვეთა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ჯამური ღირებულება გაზრდილია 16,907,694 ლარით.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტრო, დელტა

სხვადასხვა ძირითადი
აქტივები

დელტას სატრანსპორტო საშუალებების მუხლში, ირიცხება 2011 წელს სამინისტროს შეკვეთით დამზადებული 29 მოდიფიცირებული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ამ დრომდე არ არის შემკვეთზე გადაცემული, შესაბამისად არ არის ექსპლუატაციაში. მანქანები გამოიყენება როგორც ნედლეული, შესაბამისად აღრიცხული უნდა იყოს „მატერიალური მარაგების“ შესაბამის ანგარიშზე და არ უნდა ერიცხებოდეს ცვეთა.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

დელტა

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	ნინო ყიფიანი-nkipiani@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38